

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ბრძანება № 01-08/7

კოდიფიცირებული

(ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 ოქტომბრის N01-08/132 ბრძანებით)

ქ. ბათუმი

6 თებერვალი, 2017 წ.

ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13-14 მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბსუ-ს წესდების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად რექტორის მოადგილეებს (თამარ სირაძე და ნათელა წიკლაშვილი) კომპეტენციები განისაზღვროს წინამდებარე ბრძანებით და ბსუ-ს რექტორის უფლებამოსილების ფარგლებში მათ მიენიჭოთ შემდეგი უფლებამოსილებები:

1.1. რექტორის მოადგილეს, პროფესორ თამარ სირაძეს:

ა) ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებით (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) გათვალისწინებული სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული საქმიანობის (აბიტურიენტთა რეგისტრაცია/ჩარიცხვა, სტუდენტთა აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და საათობრივი დატვირთვა, სასწავლო/საკონსულტაციო ცხრილების/განრიგის შედგენა, კურატორების საქმიანობა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობს მონიტორინგი, გამოცდების დაგეგმვა/ჩატარება, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ აკადემიური დატვირთვის შესრულება და სხვა საქმიანობა) კოორდინაცია;

ბ) ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების (პროგრამების განხილვა-დამტკიცება, სასწავლო პროცესის ორგანიზება, პერსონალის მოწვევა და დატვირთვის განსაზღვრა, მსმენელთა ჩარიცხვა/ამორიცხვა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და სხვა) კოორდინაცია;

გ) ბსუ-ს სტუდენტებთან და მსმენელებთან, ასევე აკადემიურ/სამეცნიერო და მოწვეულ სპეციალისტებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა (ბსუ-ს წარმომადგენლობა);

დ) რექტორის არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება ან სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა) რექტორის

მოვალეობის შესრულება (სამართლებრივი აქტების გამოცემა, ვიზირება, კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა, შეხვედრების გამართვა, სამსახურებრივი დავალებების გაცემა და სხვა, გარდა ბსუ-ს დიპლომზე ხელმოწერის უფლებამოსილებისა);

ე) სტუდენტური ღონისძიებების/კონფერენციებისა (სასწავლო, სპორტული და კულტურული) და სხვა აქტივობების კოორდინაცია;

ვ) საგრანტო პროექტებით (რომლის მონაწილეა ბსუ) გათვალისწინებული საგანმანათლებლო საქმიანობის (სასწავლო მიმართულებით, გაცვლითი პროგრამები, პროგრამების/კურიკულუმების/მოდულების შემუშავება და სხვა) კოორდინაცია;

ზ) ბსუ-ში სასწავლო პროცესთან (ორგანიზებასთან, კონკურსებთან, საზაფხულო სკოლებთან, ტრენინგ-კურსებთან, გაცვლით პროგრამებთან და სხვა) დაკავშირებით ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინაცია;

1.2. რექტორის მოადგილეს, პროფესორ ნათელა წიკლაშვილს:

ა) ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებით (სამაგისტრო და სადოქტორო) გათვალისწინებული სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული საქმიანობის (მაგისტრატურაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების, ხოლო დოქტორანტურაში საერთო სასწავლო პროცესის - სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვისა და შესრულების მონიტორინგი, გამოცდების დაგეგმვის/ჩატარების და სხვა საქმიანობის) კოორდინაცია;

ბ) ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საქმიანობის (მათ შორის ყოველწლიური ანგარიშების დადგენილ ვადაში წარდგენის ორგანიზება) კოორდინაცია;

გ) ბსუ-ში აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალის კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, კონკურსანტების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის დადასტურება;

დ) სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ბსუ-ს საგრანტო პროექტებით (საერთაშორისო, ეროვნული და შიდა მიზნობრივი პროექტები) გათვალისწინებული საქმიანობის (ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ახალი მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზება და სხვა) კოორდინაცია;

ე) ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების პროცესის კოორდინაცია ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად;

ვ) ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის (სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის/თარგმნის) და საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაცია;

ზ) ბსუ-ს საგარეო ურთიერთობებთან (სამეცნიერო-კვლევით პროგრამებთან დაკავშირებული კავშირების, უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებასთან და სხვა) დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია.

2. ბსუ-ს რექტორის მითითების შესაბამისად შესაძლებელია რექტორის მოადგილეებს დაეკისროს სხვა უფლებამოსილებებიც, რომლებიც განისაზღვრება ელექტრონული საქმისწარმოების მიხედვით ან/და ზეპირი დავალებით.

3. წინამდებარე ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რექტორის მოადგილეების საკოორდინაციოდ განისაზღვროს ბსუ-ს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

3.1. რექტორის მოადგილეს, პროფესორ თამარ სირაძეს: (ცვლილება ბსუს-ს რექტორის 2018 წლის 16 ოქტომბრის N01-08/132 ბრძანებით)

ა) ფაკულტეტები (საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში);

ბ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტი (სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიმდინარეობის მონიტორინგის ნაწილში);

გ) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიმდინარეობის მონიტორინგის ნაწილში);

დ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი (სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვისა და სხვა მომსახურების ნაწილში);

ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

ვ) საგამოცდო ცენტრი;

ზ) სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში, თანახმად წინამდებარე ბრძანების 1.1. პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა).

3.2. რექტორის მოადგილეს, პროფესორ ნათელა წიკლაშვილს: (ცვლილება ბსუს-ს რექტორის 2018 წლის 16 ოქტომბრის N01-08/132 ბრძანებით)

ა) სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საქმიანობა;

ბ) ფაკულტეტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, საფაკულტეტო კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები);

გ) სამეცნიერო კვლევების სამსახური;

დ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი (სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მუშაობა);

ე) ბსუ-ს გამომცემლობა;

ვ) ბსუ-ს ბიბლიოთეკა;

ზ) სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში, თანახმად წინამდებარე ბრძანების 1.2. პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა).

4. საკოორდინაციო სფეროში მომზადებული ყველა დოკუმენტის ვიზირება განხორციელდეს შესაბამისი რექტორის მოადგილის მიერ.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილეთა კომპეტენციის განსაზღვრისა და რექტორის

მოადგილეებისა და რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის გარკვეულ უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 7 ივნისის №01-08/21 ბრძანება.

6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს რექტორის მოადგილეების პირად საქმეში.

7. ბრძანება ძალაშია 2017 წლის 7 თებერვლიდან.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში